საქართველოს ხელისუფლების მიერ სიტყვის თავისუფლებისა და შემოქმედებითი თვითგამოხატვის შევიწროების ქრონოლოგია

საქართველოს ხელისუფლებამ კულტურის სფეროს კრიტიკულად განწყობილი წარმომადგენლების საქმიანობაში ჩარევა მკვეთრად გააძლიერა 2021 წლის მარტში თეა წულუკიანის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრად დანიშვნის შემდეგ.

ეს შემთხვევები კულტურის მუშაკებს აზრის გამოთქმის საფრთხის შესახებ მიანიშნებს და აიძულებს მათ, ლოიალობა გამოიჩინონ კულტურის სამინისტროს მიმართ, რაც ადასტურებს არსებული მთავრობის სურვილს, კონტროლს დაუქვემდებაროს კულტურული ცხოვრება და თავისუფალი გამოხატვა საქართველოში. წაიკითხეთ „კულტურის მოთვინიერება საქართველოში“ PEN.org-ზე

2021 წლის აპრილი

კულტურის სამინისტრო ქმნის ახალ დირექტორატს ეროვნული მუზეუმების სისტემაზე ზედამხედველობისთვის და მუზეუმების გამოცდილ მენეჯერებს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას ართმევს.

2021 წლის ივლისი

სამინისტროს მიერ დაწყებულ მუზეუმის სისტემის „რეორგანიზაციას“ შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმიდან სპეციალისტთა გათავისუფლების პირველი ტალღა მოჰყვება. თანამშრომლებს მათი პოლიტიკური შეხედულებების და კავშირების შესახებ ეკითხებიან.

2021 წლის ივნისი

სამინისტრო აძლიერებს წნეხს ლიტერატურულ კონკურს „ლიტერაზე“ და ითხოვს ჟიურის შემადგენლობის დამტკიცებას და მთავრობის წარმომადგენლის ჟიურიში შეყვანას იმ კონკურსის დასაფინანსებლად, რომელსაც სახელმწიფო „მწერალთა სახლი“ 2015 წლიდან ატარებს.

2022 წლის თებერვალი

კულტურის მინისტრის ბრძანებით მუზეუმის დირექტორატს საგრანტო პროცესის გაკონტროლების უფლებამოსილება ენიჭება, რასაც კულტურის სფეროს იმ კვლევით გრანტებში ჩარევა და მათი ბლოკირება მოჰყვება, რომლებიც უკვე მინიჭებულია.

2022 წლის მარტი

კრიტიკული პოსტების შემდეგ, რომლებშიც, უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლება უკრაინელების არასაკმარისი მხარდაჭერისთვის გააკრიტიკა, ათავისუფლებენ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორ გაგა ჩხეიძეს პოლიტიკურად მოტივირებული აუდიტის მიერ თითქოსდა აღმოჩენილი დაუდასტურებელი დარღვევების საფუძველზე.

2022 წლის თებერვალი

სამინისტრო მოულოდნელად ნიშნავს ახალ დირექტორს დმანისის სახელმწიფო თეატრში და ცვლის თეატრის დირექტორს ლაშა ჩხვიმიანს, რომელსაც ადრე ქალაქის მერი დაემუქრა ჰენრიკ იბსენის პიესა „ხალხის მტრის“ დადგმის გამო. ჩხვიმიანი დირექტორის თანამდებობას 2017 წლიდან იკავებდა და ერთადერთი კანდიდატი იყო ვადის გასაგრძელებლად გამოცხადებულ კონკურსში.

2022 წლის აპრილი

საქართველოს კინოაკადემიის ახლად დანიშნული პრეზიდენტი აუქმებს სალომე ჯაშის ფილმი „მოთვინიერების“ ჩვენებას, რომელიც, გავრცელებული მოსაზრებით, ყოფილი პრემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილის შესახებაა.

2022 წლის მაისი

მუზეუმის თანამშრომელთა გათავისუფლების მომდევნო ტალღის შემდეგ კულტურის მუშაკთა პროფკავშირი მათ გათავისუფლებას აპროტესტებს. რამდენიმე კვირით ადრე ეს პროფკავშირი მუზეუმის რამდენიმე თანამშრომელმა აგრესიული „რეორგანიზაციის“ პასუხად შექმნა.

2023 წლის აგვისტო

„მწერალთა სახლის“ დირექტორ ნატაშა ლომოურს ათავისუფლებენ და მის ადგილას „ქართული ოცნების“ პარლამენტარს ნიშნავენ, რომელმაც „უცხოური აგენტების“ კანონპროექტს დაუჭირა მხარი. ლომოურს ატყობინებენ, რომ მისი გათავისუფლება ხუთ დღეში შედის ძალაში.

2023 წლის ივნისი

სამინისტრო საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის „რეორგანიზაციას“ ატარებს მას შემდეგ, რაც თანამშრომლებმა კინოცენტრის დამოუკიდებლობის შეზღუდვა ღია წერილით გააპროტესტეს. ახალ დირექტორად დანაშაულის პრევენციის სამსახურის ყოფილი მაღალჩინოსანი ინიშნება.

2023 წლის თებერვალი

მხატვარი სანდრო სულაბერიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის გამოძიება იწყება მუზეუმში მისი პერფორმანსის საქმეზე, რომლის დროსაც მან საკუთარი ნამუშევარი ეროვნული გალერეის კედლიდან ჩამოხსნა და მის ადგილას კედელზე დაწერა „ხელოვნება ცოცხალი და დამოუკიდებელია!“